საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-659

09/08/2018

ქ. თბილისი

ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფ. იდუმალასთან შპს ,,აბჯარაული"-ს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს ,,აბჯარაულის'' მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტით შპს ,,აბჯარაული'' საქმიანობას ახორციელებს ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ იდუმალას მიმდებარედ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე ს/კ 60.04.33.146. საწარმოს ტერიტორიის ფართობია 19297 $მ^2$. საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაცილებულია 670 მეტრით. საწარმო მდინარე მტკვრიდან დაშორებულია 180 მეტრით. დაგეგმილი საწარმოს საპროექტო წარმადობა წლის განმავლობაში შესადგენს 100 000 $მ^3$. საწარმოო პროცესი დაგეგმილია წელიწადში 260 სამუშაო დღით და დღე-ღამეში 8 სთ. საწარმოო პროცესში ხდება ბუნებრივი რესურსის წყლის გამოყენება-წელიწადში 200 000 $მ^3$ მოცულობით. ობიექტზე დასაქმებულია 5 ადამიანი. მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა დაგეგმილი არ არის.

საწარმოში განხორციელდება 14 $მ^3$ მოცულობის ლითონის საწვავის ავზის განთავსება, შიდა სამეურნეო მოხმარებისთვის და ასევე დამატებით როტორული ტიპის სამსხვრევი დანადგარის დამონტაჟება.

ტექნოლოგიური ციკლის აღწერა: ქვიშა-ხრეში ავტოთვითმცლელებით შემოდის საწარმოს ტერიტორიაზე, სადაც ხდება მისი განთავსება სპეციალურ ყრილზე, საიდანაც ბულდოზერის მეშვეობით ხდება ნედლეულის მიმღებ ბუნკერში განთავსება. ბუნკერიდან ხორციელდება ნედლეულის მიწოდება სპეციალურ საცერში. საცერიდან ფრაქცია 0-5 კლასიფიკატორის გავლით ხვდება ღია საწყობში (მთლიანი მასის 20%), ხოლო დარჩენილი მოცულობა გადადის ყბებიან სამსხვრევში, შემდგომ როტორულ სამსხვრევში. როტორული სამსხვრევიდან

მიღებული მასა ხარისხდება საცერზე, საიდანაც მიიღება 0-5; 5-10 და 10-20 მმ ფრაქცია რომელიც საწყობდება, ხოლო დიდი ზომის ფრაქცია კვლავ უბრუნდება როტორულ სამსხვრევს. საწარმოო პროცესი მიმდინარეობს სველი მეთოდით, წყლის მოხმარება ხდება ქვიშის გასარეცხვის და გაცხრილვის დროს.

მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა დაგეგმილი არ არის, ვინაიდან ტერიტორია წარმოადგენს არსებული საწარმოს ტერიტორიას და მთლიანად სახეცვლილი და მოშანდაკებულია. საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილია საწარმოო ჩამდინარე წყლების ჰორიზონტალური სალექარი 620 $მ^3$ მოცულობით, რომლის გავლის შემდგომაც ხორციელდება საწარმოო ჩამდინარე წყლის ჩაშვება მდინარე მტკვარში. მექანიკურ სალექარში წარმოქმნილი ინერტული მასალის გამოყენება იგეგმება ფართობების რეკულტივაციის, ტრანშეებისთვის და როგორც ინერტული მასალის შემავსებელი. წარმოდგენილი დოკუმენტით სანიაღვრე ჩამდინარე წყლებისთვის ასევე გამოყენებული იქნება ადგილზე არსებული ჰორიზონტალური სალექარი.

მუშა პერსონალისთვის ადგილზე სამეურნეო-ფეკალური მასებისთვის მოეწყობა სპეციალური ორადგილიანი ამოსაწმენდი ორმო, რომლიდანაც განხორციელდება პერიოდული გატანა საასენიზაციო მანქანით.

საწარმოო პროცესში წარმოქმნილ სახიფათო ნარჩენების გადაცემა დაგეგმილია უფლებამოსილ კომპანიაზე შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა დაგეგმილია ადგილობრივი კომუნალური სამსახურის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე.

საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალის შემოტანას კომპანია გეგმავს დასახლებული პუნქტების წყალსადენიდან, ასევე საცალო ვაჭრობის ობიექტიდან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით კომპანიას იდენტიფიცირებული აქვს ხმაურის წარმოქმნის წყაროები საწარმოო პროცესში და აღნიშნულის საფუძველზე ჩატარებული შესაბამისი გათლებით ობიექტიდან ხმაური დასაშვებ ნორმებს არ აღემატება. ასევე საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, გამწვანება ტერიტორიის, რაც კომპანიის გათვლებით საშუალებას მისცემს 10-13 დეცებელით შეამციროს ხმაური.

ასევე საწარმოს ტერიტორიაზე და მის გარშემო არ არის აღრიცხული დაცული ან/და ფლორისტული შემადგენლობის თვალსაზრისით ლანშაფტის ღირებული ელემენტები. საწარმოს ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ფაუნის წარმომადგენლები და მათი საბინადრო გარემო.

საწარმოს რეკონსტრუქცია და ექსპლუატაცია გამოიწვევს მხოლოდ უმნიშვნელო ადგილობრივ, ლოკალურ ცვლილებას. იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო დაშორებულია დასახლებული პუნქტიდან სამხრეთ აღმოსავლეთით 670 მ-ით და

დასავლეთით 830 მ-ით, ამასთანავე საწარმოო პროცესი მიმდინარეობს სველი მეთოდით, ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება. ტერიტორია შეიძლება განვიხილოთ როგორც არსებული საწარმოო ზონა, რომლის საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან. ვიზუალური შეფასებით, ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებით დანადგარი წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელ მოდულს, რომლის ექსპლუატაცია მნიშვნელოვან გარემოზე ზემოქმედებას არ გამოიწვევს, თუ კომპანია უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვას.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „აბჯარაული“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარის მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „აბჯარაული“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა.
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აბჯარაულს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აბჯარაული“ -ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ასპინძის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი